

სანდრო ფაჩუაშვილი SANDRO PACHUASHVILI

სანდრო ფაჩუაშვილი (1995) ახალგაზრდა თვითნასწავლი მხატვარია, რომელიც 2013-2017 წლებში სწავლობდა ვირჯინიის უნივერსიტეტში პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტზე. საქართველოში დაბრუნებული თავდაპირველად ქუჩის ხელოვნებით იყო გატაცებული. ამის შემდეგ კი მხატვარი ტილოზე მუშაობამაც გაიტაცა. ხელოვანი ბევრს ექსპერიმენტირებს მასალებითა და ტექნიკებით, რომ იპოვნოს საკუთარი ვიზუალური ენა. სანდროს შემოქმედებითი პროცესი საზრდოობს პოპულარული კულტურით, იქნება ეს მოდის ინდუსტრია, ლეგენდებად ქცეული ხელოვანები თუ აქტუალური სლენგი. იუმორი დიდ როლს თამაშობს სანდროს შემოქმედებაში. ხშირად იყენებს ნახევრად ხუმრობის ტონს, რომ შეეხოს მეტად სენსიტიურ თუ მტკივნეულ საკითხებს. რეზიდენციის ფარგლებში შექმნილი ნამუშევარიც ინსპირირებულია პოპულარული ლეგენდებით და წარმოადგენს ღმერთის პერსპექტივას, რომელიც ატრიალებს დედამიწას, რომ გადაუნაწილოს ტერიტორიები სხვადასხვა ერებს.

Sandro Pachuashvili (b.1995, Tbilisi) is a young self-taught artist who studied at the University of Virginia, Faculty of Political Science, 2013-2017. Upon returning to Georgia, he got interested in street art and after that, the artist started working on the canvas. The artist experiments a lot in materials, techniques and through these explorations, shapes his own visual language. Sandro's creative process is nurtured by popular culture, be it fashion industry, legendary artists, or widely used slang. Humor plays a big role in Sandro's work, often he uses an ironic tone to discuss highly sensitive issues or painful topics. The work created within the residence is also inspired by popular legends and represents God's perspective when spinning the earth to redistribute territories to different nations.



რატომ მონაწილეობ ამ პროექტში? უკავშირდება იმას, რომ ის აფხაზ მონაწილეებთან ერთად მიმდინარეობს?

პირველ რიგში, თბილისი ფოტო ფესტივალის ღია კონკურსი ვნახე და ვიცოდი, რომ უნდა მიმელო მონაწილეობა. შემდეგ კი, პროექტის იდეამ “ქარიშხალი ჩვენს ზღვებში” ძალიან დამაინტერესა. ზოგადად მშვიდი ადამიანი ვარ და არანაირი შტორმი არაა ჩემს ზღვაში, ამიტომ კიდევ უფრო საინტერესო იყო თუ რას გავაკეთებდი ამ თემაზე.

WHY ARE YOU PARTICIPATING IN THIS PROJECT? IS THIS TIED WITH THE FACT THAT THE PROJECT HAPPENING ALONGSIDE ABKHAZ PARTICIPANTS?

Well, first, when I saw an open call from the Tbilisi Photo Festival, I knew I had to take part in the project. Second of all the idea itself “Storm in Our Seas” was very interesting and challenging for me because I’m a very easy-going and calm person, don’t really have any major storms in my sea, so I was curious about what I would do for the project.

რამდენი ხანია, რაც ხელოვნებას აკეთებ?

ხელოვნების კეთება 2017 წლიდან დავიწყე და მას შემდეგ არ გავჩერებულვარ, ერთი დღითაც კი. დროის განმავლობაში იცვლებოდა პროცესი, თუმცა თუ დააკვირდებით, დაინახავთ როგორ შეიცვალა ხელოვნება და თავად ხელოვანი ჩემს ნამუშევრებში.

HOW LONG HAVE YOU BEEN MAKING ART?

I started in 2017 and haven’t stopped since, not even for a day. It has changed time after time, but in the end, I think you can see the non-stop process of art and artist change in my works.

საკუთარ თავს სხვაანირად, არახელოვნად, წარმოიდგენდი? თუ კი, როგორი გეგონა შენი თავი

როდესაც სკოლა დავამთავრე, სამხედრო მფრინავი მინდოდა ვყოფილიყავი. ჩემი ცხოვრებაც აქეთკენ იყო მიმართული. საბედნიეროდ, ასე არ მომხდარა და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დავიწყე იმის კეთება, რაც მამბედნიერებს და მახალისებს - დავიწყე ხატვა.

HAVE YOU IMAGINED YOURSELF AS SOMEONE ELSE OTHER THAN AN ARTIST? IF YES, HOW DID YOU IMAGINE YOURSELF?

Definitely, I wanted to be an air force pilot when I finished school, and my life was all about becoming a pilot. Fortunately, it didn’t work out and after graduating from university I started doing what actually makes me happy and joyful, so I started painting.

რატომ არჩიე ეს თემა რეზიდენციისთვის და თუ გქონია განაღდ მსგავსი იდეები?

პროექტის თემა ორჯერ შევცვალე. საბოლოოდ კი რაც ავირჩიე ადამიანებს შორის კონფლიქტს ეხება. ის თავის სიღრმეში სრულიად გამოგონილია და დროის სვლასთან ერთად სასაცილოც კი. ზოგადად, მიწებია ომის მიზეზი, მაგრამ საბოლოოდ მათ კი არ ვუვლით, არამედ ვანადგურებთ. ჩემი პროექტი დაფუძნებულია კავკასიის ადგილობრივ ლეგენდაზე.

WHY DID YOU CHOOSE THIS TOPIC FOR THE RESIDENCY, AND HAVE YOU HAD SIMILAR IDEAS BEFORE?

I changed the theme for this project 2 times, the last theme I selected is about the human conflict that is in its core artificial and in the bigger sense of time, also ridiculous. Usually, whatever the wars are fought about is the land which we also destroy and don’t care for. My project is based on the local legend of the Caucasus.

სურვილი გაქვს რომ შეხვდე სხვა მონაწილეებს? რატომ?

დიდი სიამოვნებით, განსაკუთრებით ახლა, როცა ყველაფერი ზუმში

და ონლაინაა. გამიხარდებოდა მათთან შეხვედრა, ძალიან კარგი და მეგობრული ხალხი ჩანს.

WOULD YOU STILL LIKE TO MEET ALL THE PARTICIPANTS, AND WHY?

Yes, I would love to, especially at this time when everything is in zoom and on-line, I'd love to meet everyone, they seem awesome and really friendly.

გაიგე რაიმე ახალი რეზიდენციის პროცესში?

დიდი კვლევა ჩავატარე პირველ თემაზე, რომელიც არჩეული მქონდა. ბევრი ინფორმაცია ვიპოვე შორეულ ადგილებსა და კავკასიის ხალხზე, რომლის შესახებაც არაფერი ვიცოდი.

DID YOU LEARN SOMETHING NEW THROUGH THIS RESIDENCE?

I did a lot of research on the previous theme that I decided on, so I found out a lot about the history of remote places and people in the Caucasus that I didn't know before.

ფიქრობ, რომ გზა ხელოვნებაში ქალებისთვის უფრო რთულია? თუ იგივეა რაც მამაკაცებისთვის.

ფიქრობ, არ მაქვს საკმარისი პერსპექტივა ამაზე სასაუბროდ, მაგრამ ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ხელოვანი ჰილმა კლიმტია, რომელიც შესანიშნავი ხელოვანი იყო, არის და იქნება. თუმცა მაშინდელმა ელიტამ მის ხელოვნებას მნიშვნელობა არ მიანიჭა და მთელი ცხოვრება “გიჟს” ეძახდნენ, ამიტომ მგონია, რომ ქალებისთვის ეს გზა უფრო რთულია.

DO YOU THINK THE PATH OF WOMEN IN ART IS MORE DIFFICULT? OR THE SAME AS FOR MEN?

I don't think I have enough perspective to talk from my standpoint, but one of my favourite artists is Hilma Af. Klimt and knowing her life and experience, how good she was at the time, now and forever and how art elites didn't give her credit at all and called her crazy her whole life, I'd say it's much more difficult for women artists.

